

859-962-1 (05)

ქ-92

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მარინე გივის ასული ტურავა

**პერსონიფიკაციის
მსოფლმხედველობრივი საფუძველი
ვაჟა-ფშაველას უნივერსიტეტი**

ლიტერატურის თეორია

10.01.08

ავტორეზიუმე

დისერტაციისა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი

1999

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა
რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის
ლიტერატურის თეორიის განყოფილებაში

- სამეცნიერო ხელმძღვანელი - ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი ბენო დობორჯგინიძე
- ექსპერტი - ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ზურაბ ჭარხალაშვილი
- ოფიციალური ოპონენტები: - ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი გივი მიქაძე,
- ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი
თამარ ბარბაქაძე.
- წამყვანი ორგანიზაცია - აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება " 7 " *აქტი* 1999 წლის " 12 " *აქტი*
საათზე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს (P 10.01, C N5) სხდომაზე.

მისამართი: 380028, ქ.თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №1.
დისერტაციის გაცნობა შეიძლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა " 7 " *აქტი* 1999 წ.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული
მდივანი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (თ.კიკაჩიშვილი)

ნაშრომის ზოგადი დასასიათება

თემის აქტუალობა: ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის მოაზრება
ვაჟა-ფშაველას შემოქმედების გარეშე სრულიად წარმოდგენილია. მისი
„ფშავე-ხვესურეთიდან მომსკდარი პოეზიის ნიაღვარი“ (ტიციან ტაბიძე)
ამოუწურავ მასალას იძლევა დაფიქრებისა და განსჯისათვის. ვაჟას
შემოქმედებას მკვლევართა არაერთი თაობა სწავლობდა. მიუხედავად ამისა,
მწერლის მხატვრული ნააზრევის სიღრმის გამო, მრავალი პრობლემა
ბოლომდე შეუსწავლელია ან ზოგიერთ შემთხვევაში არასწორად არის
გაგებული. ამიტომაც ვაჟას შემოქმედების სრულფასოვანი მეცნიერული
შესწავლა მომდევნო თაობების საქმეა, რაშიც მათ ვაჟამცოდნეთა არაერთი
საინტერესო, მნიშვნელოვანი მოსაზრება და გამოკვლევა დაეხმარება.

ამ „საერო მგოსნის“ (გრიგოლ ყიფშიძე) შემოქმედებაზე მუშაობისას
მკვლევართა ძირითადი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ერთმანეთისაგან არ
განირჩევა მის მიერ გარდაქმნილ-გადამუშავებული მითოლოგიურ-
ფოლკლორული ფაქტურა და მწერლის იდეურ-ესთეტიკური სამყარო. ეს
პრობლემა, თავის მხრივ, უკავშირდება პერსონიფიკაცია-გაპიროვნების
მსოფლმხედველობრივ საფუძველს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. ამ საკითხის
გარკვევის გარეშე წარმოდგენილია ქართველი გენიოსის მხატვრული
მემკვიდრეობის სრულფასოვანი გაგება და შესწავლა.

კვლევის მიზანია: ვაჟა-ფშაველას თეორიული და მხატვრული ნააზრევის
კრიტიკული და მიზნობრივი შეფასება მწერლის იდეურ-ესთეტიკური მრწამსის
გამოსავლენად; პერსონიფიკაციის ისტორიული გენეზისის დადგენა ვაჟას
პუბლიცისტურ-ეთნოგრაფიული წერილების მიხედვით, მწერლის იმ
მხატვრული ნაწარმოებების განხილვა, რომლებშიც ნათელყოფილია, რომ ვაჟა-
ფშაველა მხატვრული ანთროპომორფიზმის ნიადაგზე დგას და არა
მსოფლმხედველობრივისა, რომ მითი მისთვის საშუალებაა ძირითადი

1693 -